ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 3 აგვისტო, 2016

№182 (7108)

ფასი: 50 თეთრი

## „ნორმებს აუქმებენ 3 საქმის გამო! ეს არის რუსთავი 2-ის საქმე, კაბელების საქმე და უგულავას საქმე!“

გვ.3

პაპუაშვილმა განცხადებები ზეწოლაზე მას შემდეგ დაიწყო, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ ნაციონალური მოძრაობის სარჩელი ვერ დააკმაყოფილა

3 აგვისტოდან

აკა მორჩილაძე

გადაფრენა მადათოვზე და უკან

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# გია ხუხაშვილი: „უსუფაშვილსა და ხიდაშელს პარტია ჩამოეშლებათ“




გვ.2

## „რესპუბლიკელებს ლივერპულამდე ცოტა უკლიათ“

„თავდაცვაც და უსაფრთხოების სამსახურიც ძალოვან ბლოკს წარმოადგენენ. მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ აქვთ გარკვეული კვეთა. ეს ეხება იმავე კონტრდაზვერვას, უსაფრთხოებას, დისციპლინარულ და საიდუმლო საკითხებს. სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს 2 უწყება ერთმანეთთან ძალიან ახლოს არის, ამიტომ ჩემთვის ხიდაშელის არგუმენტები, რბილად რომ ვთქვა, არადამაჯერებელი იყო"

## დავით ნარმანია: „თბილისელებო, უნდა დაგვზვეროთ“



დედაქალაქის მერის მოადგილედ სამხედრო დაზვერვის ოფიცერი დაინიშნა

გვ.3



„უშიშროების კადრების მოსვლა თბილისის მერიაში საარჩევნო პროცესთან არის დაკავშირებული"

## პაატა ჯიბლაძე: „პაპუაშვილი უბადრუკ პროვოკაციებში ჩაერთო“

გვ.2

„წინასაარჩევნო გარემო წინა ხელისუფლების დროინდელზე ბევრად უკეთესია“



## ოთარ სიჭინავა: „საკონსტიტუციო სასამართლოს დღის წესრიგს გარედან ვერავინ დაუდგენს“




გვ.3

ISSN 1987-9385

## სახხერის საავადმყოფოს პასუხი ნაციონალების დეზინფორმაციას

გვ.10

## საქართველოში სამართლიანობის აღდგენისთვის ისევ ტირიან!

გვ.5





# გია ხუხაშვილი: „უსუფაშვილსა და ხიდაშელს პარტია ჩამოეშლებათ“

## „რესპუბლიკელებს ლივერპულამდე ცოტა უკლიათ“

შორენა მარსაგიშვილი

**არის თუ არა რესპუბლიკური პარტია ლიდერული, რა პროცესები დაიწყება პარტიაში, რატომ გამნარიდნენ ასე ხიდაშელი და უსუფაშვილი, ეკუთვნოდა თუ არა იზორიას თავდაცვის მინისტრობა? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.**



**გია ხუხაშვილი:**

– „ქართულ ოცნებაში“ არის რაღაც პრობლემები. ამის მიუხედავად, რესპუბლიკელების მიერ გაკეთებული შეფასებები ნამეტანია. არ შეიძლება, დილით წამოხვიდე მინისტრობიდან და საღამოსთვის ფართოდ გაახილო თვალები. თინა ხიდაშელისა და დავით უსუფაშვილის განცხადებებში პირადი აგრესიისა და ბოღმის ელემენტები შეიმჩნეოდა.

განსაკუთრებით გამიკვირდა, როცა ასეთი ელემენტები უსუფაშვილის რიტორიკაში შევნიშნე. ის ჭკვიანი ადამიანია და კარგად გრძნობს, რა როგორ შეიძლება იქნეს შეფასებული.

***– ხიდაშელისგან ელოდით ასეთ რიტორიკას?***

– მთლად ასეთს მისგანაც არ ველოდი. მისი რიტორიკა, ჩემი აზრით, ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. მისი მხრიდან არალოგიკური იყო იმის მტკიცება, რომ თურმე უშიშროების სამსახურიდან წამოყვანილი კადრის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა არ შეიძლება.

***– ასეთი შეფასებები სხვებმაც გააკეთეს. ნორმალურია, როცა თავდაცვის მინისტრად უსაფრთხოების სამსახურის მაღალჩინოსანი ინიშნება?***

– თავდაცვაც და უსაფრთხოების სამსახურიც ძალოვან ბლოკს წარმოადგენენ. მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ აქვთ გარკვეული კვეთა. ეს ეხება იმავე კონტრდაზვერვას, უსაფრთხოებას, დისციპლინარულ და საიდუმლო საკითხებს. სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს 2 უწყება ერთმანეთთან ძალიან ახლოს არის. აქედან გამომდინარე, ჩემთვის ხიდაშელის არგუმენტები, რბილად რომ ვთქვა, არადამაჯერებელი იყო.

ჩემთვის გასაგები იქნებოდა, ყოფილ თავდაცვის მინისტრს პირადად იზორიას მიმართ რომ გამოეთქვა პრეტენზიები.

***– გამოდის, რომ თქვენც არ მოგწონთ თავდაცვის მინისტრად ლევან იზორიას დანიშვნა.***

– ეს ცალსახად დადებითი არჩევანი არაა და იზორიას კანდიდატურაზე კამათი შეიძლება. ხიდაშელს ეს რომ ეთქვა, დავეთანხმებოდი, მაგრამ იმის თქმა ნამდვილად არ შეიძლება, რომ სუსის კადრი თავდაცვის მინისტრად არ უნდა დაინიშნოს. ეს არის ხიდაშელის სუბიექტური დამოკიდებულება, პოლიტიკოსს კი ასეთი საქციელი არ ამშვენებს.

ყველაფრის მიუხედავად, იზორიას დანიშვნა სისტემურად სწორი გადაწყვეტილებაა. ვფიქრობ, ხელისუფლება თავიდანვე უშვებდა შეცდომებს, როდესაც თავდაცვის მინისტრად პარტიულ ლიდერებს ნიშნავდა.

იქიდან გამომდინარე, რომ თავდაცვის სამინისტრო არის დეპოლიტიზებული უწყება, პოლიტიკური პერსონისთვის ძალიან რთულია ზღვარის გავლება და დეპოლიტიზაციის ფარგლებში საკუთარი თავის შენარჩუნება. ირაკლი ალასანიასა და თინა ხიდაშელის შემთხვევაში ხარვეზი უკვე გამოვლინდა.

***– იზორიაც იყო თავისუფალი დემოკრატების წევრი. ის მოახერხებს ზღვარის გავლებას?***

– იზორიას შეფასება გამიჭირდება. მასზე ვერც კარგს ვიტყვი და ვერც – ცუდს. პაატა ზაქარეიშვილის შემცვლელად ქეთევან ციხელაშვილის დანიშვნას კი ღიად მივესალმები. ეს ადამიანი თავისი საქმის პროფესიონალია და ეს ჩანდა მის საქმიანობაში. ის საინტერესო კადრია. მე ყოველთვის მქონდა განცდა, რომ რეალური მინისტრი ციხელაშვილი იყო.

***– პაატა ზაქარეიშვილი რას წარმოადგენდა?***

– პაატა ზაქარეიშვილი უფრო ფეისი იყო.

***– მოდით, ისევ რესპუბლიკელების აღშფოთებას დავუბრუნდეთ. პარტია ძალიან აღშფოთებულია იმის გამო, რომ ხარაგაულში მათი თანაპარტიელის თანამდებობიდან გადაყენება ცადეს.***

– ჩემი აზრით, ხარაგაულში არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. თანამდებობრივი ვერტიკალი უნდა ასახავდეს იმ კონიუნქტურას, რომელიც უმრავლესობა-უმცირესობას შორისაა.

უმცირესობაში მყოფი პარტიის წევრი საკრებულოს თავმჯდომარეობიდან თუ გადააყენეს, რატომ ითვლება ეს გადატრიალებად, ჩემთვის გაუგებარია. არაადეკვატურები იყვნენ შეფასებებში. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, განსაკუთრებით დავით უსუფაშვილის გამო დამწყდა გული. მას ასეთი საქციელი არასდროს ახასიათებდა.

***– უკვე მეორედ გაუსვით ხაზი, უსუფაშვილს ასეთი რამ არ ახასიათებდაო. აბა, ახლა რატომ მოიქცა ასე? რამ გაამწარა დინჯი და გაწონასწორებული უსუფაშვილი?***

– შესაძლოა, პარტიულ სოლიდარობას ოჯახური სოლიდარობა დაემატა და ამან გაამწარა ასე. შესაძლოა, სულ სხვა მიზეზი იყოს. გამიჭირდება რამის თქმა. ფაქტია, რომ რაც მე ვნახე, ეს არ იყო ის უსუფაშვილი, რომელსაც ამ ქვეყანაში პოლიტიკური წონა აქვს.

***– მშობლიური პარტიის შეფასებისას მან განაცხადა, რომ არ არიან მანჩესტერ იუნაიტედი, რომელიც ყოველ მეორე წელს ინგლისის ჩემპიონი ხდება, მაგრამ არიან ლივერპული, რომელიც კარგად თამაშობს. ამაზე რას იტყვით?***

– რესპუბლიკური პარტია და ლივერპული? რბილად რომ ვთქვათ, ლივერპულამდე ცოტა უკლიათ. ლევან ბერძენიშვილი სულაც მადრიდის რეალს ადარებდა პარტიას. ამაშიც თუ გაერკვევიან, კარგი იქნება.

აქ ფეხბურთის ტერმინოლოგიით ლაპარაკი ძალიან არასერიოზულია. პარტიის პატივი იზომება არა მათი აზრით, არამედ სახალხო ლეგიტიმაციით. ამ მხრივ მათ სისტემური პრობლემები აქვთ. ეს პრობლემა რესპუბლიკურ პარტიას მთელი თავისი არსებობის მანძილზე აწუხებს – მათ პირდაპირ ხალხისგან არასდროს მიუღიათ ლეგიტიმაცია.

***– ამის მიუხედავად, ისინი არაერთხელ მოხვდნენ ხელისუფლებაში.***

– 2004 წელს ხელისუფლებაში მოხვდნენ, როცა სააკაშვილის მხრებზე პარაზიტირებდნენ. 2012 წელს იმავე მიზანს ბიძინა ივანიშვილის დახმარებით მიაღწიეს. ლივერპულისგან განსხვავებით, მათ ხალხისგან ლეგიტიმაცია არასდროს მიუღიათ.

***– თინა ხიდაშელმა „ქართული ოცნების“ წევრებს ბოლშევიკური რიტორიკა დაუწუნა. თქვენც ამჩნევთ მეოცნებეებში მსგავს რიტორიკას?***

– „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს ბევრ რამეს ვამჩნევ და მათი მისამართით ძალიან კრიტიკულად ვარ განწყობილი. როდესაც ხიდაშელი ვიღაცას აკრიტიკებს და რაღაცას ამბობს, ამის თქმის უფლება უახლოესი წარსულით უნდა მოიპოვო.

***– ხიდაშელს უახლოესი წარსული არ აძლევს „ოცნების“ გაკრიტიკების უფლებას?***

– არ შეიძლება, წინა დღეს წამოხვიდე და მეორე დღეს ასეთი ლაპარაკი დაიწყო. დილით, როცა მინისტრის პოსტზე იყო, საგანგაშოს ვერაფერს ხედავდა, როცა გადადგა, უცბად აღმოაჩინა, რომ მისი კოლეგები ბოლშევიკები არიან.

„ქართულ ოცნებას“ მეც ბევრ რამეს ვუწუნებ, მაგრამ მათი მისამართით ხიდაშელის რიტორიკა არასწორია. ამ განცხადებებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხიდაშელი თავს კარგავს.

***– უსუფაშვილ-ხიდაშელის წყვილმა ასეთი რიტორიკა ამომრჩევლის გულის მოსაგებად ხომ არ შეარჩია? იქნებ „ოცნებაზე“ განაწყენებული ხალხის მიმხრობას ცდილობენ?***

– გამორიცხულია, რესპუბლიკურმა პარტიამ ამომრჩეველში თავისი სეგმენტი მოძებნოს. ამის იმედი თუ აქვთ, დიდ ილუზიებში ყოფილან.

***– რატომ გგონიათ, რომ ამომრჩეველში თავიანთ სეგმენტს ვერ იპოვიან?***

– რესპუბლიკური პარტია მრავალი წელია არსებობს, მაგრამ აქამდე ვერ მოიპოვა ელექტორატი და დარჩენილ თვე-ნახევარში მოახერხებს ამას? ისინი რეალური ამომრჩევლისგან აბსოლუტურად დისტანცირებული არიან. მე ვერ ვხედავ ამომრჩეველს, რომელმაც შესაძლოა რაღაც არგუმენტის გამო რესპუბლიკელები არჩიოს სხვა პარტიას.

მეტსაც გეტყვით, რესპუბლიკური პარტიიდან უახლოეს პერიოდში ხალხის გადინებას ველოდები. მათი პარტიული სტრუქტურა რაიონებში შესაძლოა სრულად ჩამოიშალოს. ამ პარტიის წევრები მასობრივად გადავლენ „ქართულ ოცნებაში“ ანუ დაადგებიან იმ გზას, რომელიც გიგლა აგულაშვილმა გაჭრა.

***– რესპუბლიკელები გაცხარებულები არიან. მათ „ოცნებაზე“ ბევრი ინფორმაცია აქვთ და საარჩევნოდ მათი მხრიდან რაიმე სკანდალებს ხომ არ უნდა ველოდოთ?***

– მათ მართლა ბევრი ინფორმაცია აქვთ, მაგრამ ამის გასაჯაროება მათი მხრიდან ძალიან არასერიოზული საქციელი იქნება, რადგან „ოცნებას“ მათზე ათჯერ მეტი ინფორმაცია აქვს, ვიდრე მათ „ოცნებაზე“.

# პაატა ჯიბლაძე: „პაპუაშვილი უბადრუკ პროვოკაციებში ჩაერთო“

## „წინასაარჩევნო გარემო წინა ხელისუფლების დროინდელზე ბევრად უკეთესია“

მარიამ მჭედლიშვილი

თავდაცვის მინისტრის ცვლილება მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. არ იყო მოსალოდნელი ისიც, რომ თინა ხიდაშელის შემცვლელზე რაიმე დისკუსია დაიწყებოდა. ოპონენტები მიიჩნევენ, რომ თავდაცვის მინისტრად უშიშროების სამსახურიდან კადრის მოყვანა შეცდომაა. ეს ეწინააღმდეგება ნატოს პრინციპებს. ამ ნაბიჯს უარყოფითად შეხვდებიან დასავლელი პარტნიორები.

ამ თემაზე საუბარი გაუგებარია მემარცხენე ალიანსის პოლიტიკური მდივნის პაატა ჯიბლაძისთვის. „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ რესპუბლიკელებს დასჭირდათ ამ თემის წამოწევა.

**პაატა ჯიბლაძე:**

– ვერ გამიგია, რატომ ატყდა ამაზე ასეთი ამბავი. არჩევნებამდე სულ 65 დღე დარჩა. 8 ოქტომბრის შემდეგ შეიცვლება პარლამენტიც და მთავრობაც. რა უნდა დააშავოს ახალმა თავდაცვის მინისტრმა ამ მოკლე დროში? ის ვერაფერს მოასწრებს. ამიტომ ამ საკითხის წამოწევა სუფთა პოპულიზმია. ეს დასჭირდათ რესპუბლიკელებს.

***– ისინი აპროტესტებენ იმას, რომ თავდაცვის მინისტრი სუსიდან მოვიდა.***

– მერე რა მოხდა? იყვნენ მინისტრები, მათ შორის თავდაცვის უწყებაშიც და სხვაგანაც, რომლებიც უშიშროების კადრებს არ წარმოადგენდნენ, მაგრამ ისინი არ ატარებდნენ ეროვნულ ინტერესებს.

***– ვის გულისხმობთ?***

– გამგებმა გაიგოს. ჩვენ გვყავდა მინისტრები, რომლებიც საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ. ისინი სუსიდან არ იყვნენ გადმოყვანილი. რესპუბლიკური პარტია გაწიწმატებულია და ცდილობს, აქედანაც დაიწეროს ქულები და უცხოეთშიც გაუშვას რაღაც გზავნილები.

***– გაწიწმატებული რატომაა?***

– იმიტომ, რომ წინა არჩევნებში რესპუბლიკელებმა უშრომლად, ბიძინა ივანიშვილის სახელით გაიმარჯვეს. ახლა ისინი დამოუკიდებლად მონაწილეობენ არჩევნებში და ბარიერის გადალახვის პრობლემა უდგათ.

***– არჩევნებამდე დარჩენილ 65 დღეში რაიმე პროვოკაციებს ხომ არ ელით?***

– წინასაარჩევნო პროვოკაციები დაწყებულია. ნაციონალური მოძრაობა ამისთვის სხვადასხვა პატარ-პატარა სეგმენტს იყენებს.

***– კერძოდ?***

– მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს გარშემო ვითარდება გარკვეული მოვლენები. უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, ააგოროს პროვოკაციები საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის საშუალებით.

***– ეს მცდელობებია და მეტი არაფერი?***

– ეს საცოდავი მცდელობებია. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე პაპუაშვილი ამ უბადრუკ პროვოკაციებში ჩაერთო. ეს ის კაცია, რომელიც წლების განმავლობაში ხმას არ იღებდა.

***– რაზე უნდა ამოეღო ხმა?***

– 2007 წლის ნოემბრის, 2011 წლის 26 მაისის მოვლენებზე, ქუჩებში ახალგაზრდების დახოცვაზე, ციხეებში წამებაზე, იმაზე, რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს მოქალაქეები სიხარულით ჩუქნიდნენ თავიანთ ქონებას სახელმწიფოს. არაერთი ისეთი დარღვევა ხდებოდა, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯის საგანი უნდა ყოფილიყო. სხვათა შორის, დედაქალაქში წყლის ტარიფის თითქმის სამჯერ გაზრდაც ანტიკონსტიტუციურია, რაც მოჰყვა თბილწყალკანალის გასხვისებას. პაპუაშვილს ამ პრობლემებზე კრინტი არ დასცდენია. ახლა ახმაურდა, იმიტომ, რომ ნაციონალურ მოძრაობას დასჭირდა.

***– დარწმუნებული ხართ, რომ პაპუაშვილის განცხადებებს პოლიტიკური სარჩული აქვს?***

– რასაკვირველია. ეს აშკარაა. სამართლებრივად დადგინდა, რომ პაპუაშვილი უკანონოდ ცხოვრობს სხვის ბინაში. ბინა უსამართლოდ ჩამოართვეს ბათუმელ ბლადაძეს. მისი უდანაშაულობა დადგენილია, ბინა მისი საკუთრებაა, მაგრამ პაპუაშვილი სხვისი საცხოვრებლიდან არ გამოდის. ასეთი პროვოკაციული მცდელობები აქვს ნაციონალურ მოძრაობას.



***– ფიქრობთ, რომ პროვოკაციები არ გამოუვათ?***

– ვერ გამოუვათ. ნაციონალები

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ოთარ სიჭინავა: „საკონსტიტუციო სასამართლოს დღის წესრიგს გარედან ვერავინ დაუდგენს“

ნათია ხურცილავა

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ოთარ სიჭინავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს აფასებს.

***– ბატონო ოთარ, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს შორის დაპირისპირების მიზეზი რა არის? არის მოსაზრება, რომ ეს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ინსტიტუციას, ანგრევს.***

– ინსტიტუცია, როგორც ასეთი, გამართულად მუშაობს. გამართულად რომ მუშაობს, ამიტომაც გვაქვს განსხვავებული აზრები. ეს პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ყველა მოსამართლეს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი აზრი და ეს აზრი სხვა მოსამართლის აზრისგან განსხვავდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპარტია გვექნებოდა, ეს კი სასამართლოა.

***– დაპირისპირებული აზრები გარეთ გამოვიდა.***

– ეს ნამდვილად არ არის ჩვენი ბრალი და ამის სურვილი არ გვქონდა. ჩვენ მეგობრები ვართ და ამ საკითხზე, რაც წერილში წერია, არაერთგზის გვისაუბრია. ცხარე დისკუსიებიც იყო. 10 წელი სრულდება, ნამდვილად არავის ეჭვი არ შეჰპარვია იმაში, რომ ჩვენ დამოუკიდებლები ვართ, მათ შორის იმათ, ვინც ახლა გვაკრიტიკებს. თუ არ ვცდები, მანამდე სწორედ მათი სარჩელები დავაკმაყოფილეთ. ამიტომ, ღმერთმა უწყის, რას ემსახურება ეს ყველაფერი.

***– ეს მხოლოდ აზრთა სხვადასხვაობაა, როგორც თქვენ ამბობთ თუ დაპირისპირება?***

– რაში უნდა დავუპირისპირდეთ ჩვენ ერთმანეთს, გაუგებარია.

***– წერილში რაზეც არის საუბარი, შიგნით იყო განხილული?***

– რა თქმა უნდა. ამ საკითხებზე ბევრჯერ გვისაუბრია, მსჯელობა გვქონია. მერაბ ტურავამ ეს საკითხი პლენუმზე წამოსწია.

***– გიორგი პაპუაშვილი სანამ ღიად გააკეთებდა განცხადებას ზეწოლასთან დაკავშირებით, იცოდით?***

– როდესაც პლენუმი იკრიბება, გვერდიგვერდ ვსხედვართ და ხმამაღლაც ვსაუბრობთ. აშკარად ამაზე არავის არაფერი უთქვამს. ბატონმა გიორგიმ შემოგვთავაზა, თუ რამე ფაქტი იცით, მითხარითო. არავინ დაადასტურა ეს ფაქტი.

***– პროკურატურის შუალედურ დასკვნაზე როგორია თქვენი პოზიცია, რომ არცერთ მოსამართლეზე არ იკვეთება ზეწოლის ფაქტები?***

– გამოძიება მიმდინარეობს და მე კანონი არ მაძლევს უფლებას, ამ საკითხზე რამე კომენტარი გავაკეთო. მე ვარ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე და ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში არ შედის პროკურატურის განცხადების შეფასება. გამოძიება რომ დაიწყო, ეს კარგია და მისაღებია. პლენუმი შეიკრიბება და ამ საკითხებს სათითაოდ გავივლით.

***– გახმაურებულ საქმეებზე რას იტყვით, შეიძლება, მთელი ეს პროცესი***




***სწორედ ამ საქმეებს უკავშირდებოდეს?***

– ჩვენთვის არცერთი საქმე არ არის გახმაურებული და ეს შეუძლებელია. მე 30 სექტემბერს ვადა გამდის და, ალბათ, ამ ვადაში ჩავეტევით, რომ გადაწყვეტილებები იყოს მიღებული და გამოცხადებული. გირჩევთ, სამოტივაციო ნაწილი წაიკითხოთ. პირობითად რომ ვთქვათ, უგულავას ნაცვლად პეტრიაშვილი რომ ყოფილიყო, სამართლებრივ ჭრილში რამე შეიცვლებოდა?! რა თქმა უნდა, არა!

***– კაბელების საქმისა და გიგი უგულავას საქმესთან დაკავშირებულ პროცესს თქვენ, რამდენიმე მოსამართლე არ დაესწარით. ეს გამოიწვევს თუ არა პროცესის პარალიზებას?***

– საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისთვის ცნობილი იყო, რომ ჩვენ დიპლომატიურ კორპუსთან გვქონდა შეხვედრა და ვერ ვიქნებოდით ბათუმში. ვაგრძელებთ სხვა საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებას. რაც შეეხება აღნიშნულ საქმეებს, ამ მოვლენების ფონზე მიუღებელი იყო და ჩავთვალეთ საჭიროდ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრა. გარკვეული საკითხები მათთვის უფრო ნათელი უნდა იყოს და ჩვენ ეს შევძელით.

***– 30 სექტემბრამდე კაბელების საქმე, უგულავასა და რუსთავი 2-ის საქმის განხილვა დასრულდება?***

– კანონით, უნდა დასრულდეს. ყველაფერი დანარჩენი სპეკულაციაა. შვებულებაც კი არ ამიღია სწორედ ამიტომ.

***– ჩიხში არ შესულა სასამართლოს საქმიანობა?***

– მითხარით, რის გამო შევიდა ჩიხში?! ჩვენს დღის წესრიგს სასამართლო განსაზღვრავს და სხვა არავინ. საკონსტიტუციო სასამართლოს გარედან ვერავინ ვერასდროს დაუდგენს დღის წესრიგს. ჩვენი ეს პოზიცია ყველამ უნდა გაიგოს. ჩვენი წინარე საქმიანობით დავამტკიცეთ, რომ დამოუკიდებლები ვართ და მომავალში ასეც იქნება.

***– ვისგან მოდის თქვენს საქმიანობაში ჩარევის სურვილი?***

– ვერ გეტყვით, მაგრამ სასამართლოს გარშემო შექმნილი ფონი აშკარად არაჯანსაღია. მიუხედავად ამისა, ყველამ იცოდეს, რომ ჩვენს გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერავინ მოახდენს. ვერავინ მიგვითითებს, რა როგორ გავაკეთოთ, მიუხედავად იმისა, თუ ვის რა მოსწონს და ვის რა არ მოსწონს. არც პოლიტიკოსების აზრები გვაინტერესებს და არც მასმედიის დამოკიდებულება.

***– კაბელების საქმეზე სარჩელის შეცვლასთან დაკავშირებით, რომელზეც არის საუბარი, როგორია თქვენი პოზიცია? გამოძიება არის საჭირო?***

– საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ვერავის მისცემს რეკომენდაციას, უნდა დაიწყოს თუ არა გამოძიება.

***– აქ საუბარია იმაზე, რამდენად კანონიერი იქნება თქვენი გადაწყვეტილება.***

– ჩვენი გადაწყვეტილება ყოველთვის კანონიერი, სამართლიანი და დასაბუთებული იყო და ასეც გაგრძელდება. ამაში ნურავინ შეიტანს ეჭვს.

***– თქვენი გადაწყვეტილება რამდენად იქნება სამართლიანი, თუ კანონი დაირღვა, ამას გეკითხებით.***

– ჩვენ ამას ავსახავთ გადაწყვეტილებაში. წინასწარ როგორ გითხრათ ჩემი აზრი. წინასწარ არავის აქვს უფლება იცოდეს, რა გადაწყვეტილებას მივიღებ. გადაწყვეტილება იქნება მხოლოდ კანონიდან გამომდინარე.

# „ასეთი ნორმების გაუქმების ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს!“



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გიგი უგულავასა და კაბელების გაერთიანებული საქმის განხილვა კვორუმის არარსებობის გამო არ გაიმართა.

პროცესი ბათუმში გუშინწინ 12.00 საათზე უნდა დაწყებულიყო, თუმცა სასამართლოში სამი პირველი კოლეგიის მოსამართლე: ქეთევან ერემაძე, კონსტანტინე ვარძელაშვილი და მაია კოპალეიშვილი მივიდნენ. პროცესზე არ მისულან თამაზ ცაბუტაშვილი და მერაბ ტურავა.

მეორე კოლეგიის სამი მოსამართლე – ლალი ფაფიაშვილი, ზაზა თავაძე და ოთარ სიჭინავა თბილისში იმყოფებიან. ისინი დიპლომატიური კორპუსის წევრებს შეხვდნენ.

სულ საკონსტიტუციო სასამართლოში 9 მოსამართლეა და სხდომის ჩასატარებლად პლენუმის 9 მოსამართლიდან პროცესზე, სულ მცირე, 6 მოსამართლე უნდა გამოცხადდეს.

ჩვენ კომენტარი ცნობილ ადვოკატ მირიან ნიკოლაძეს ვთხოვეთ.

***– ბატონო მირიან, როგორ შეაფასებდით საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე მოვლენებს?***

– ძალიან პესიმისტურად. ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინსტიტუტი და საძირკველი კვდება. საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკულად გასულია სამართლებრივი ნორმიდან. გიორგი პაპუაშვილი არის სააკაშვილის ხელის ბიჭი და ასრულებს მის დაკვეთებს. ამიტომაც არის სასამართლო ამ დღეში. საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური გადატრიალების მცდელობა ჰქონდა. ამ განცხადებას ბრჭყალებში ვაკეთებ, მაგრამ სხვა შეფასებასაც რომ ვერ მივცემ?!

***– კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

– თუნდაც პაპუაშვილის ბოლო განცხადებებს გაუთავებელ შანტაჟთან დაკავშირებით. ეს ხომ სისულელეა და მტკიცდება კიდეც, რომ სისულელეა. უბრალოდ, სააკაშვილმა უბრძანა, ასე თქვიო და ისიც ამბობს. საკონსტიტუციო გადატრიალების მცდელობა იყო მაჟორიტარული სისტემის შეცვლის მცდელობა ზედ არჩევნების წინ. ეს რომ მომხდარიყო, ქვეყანა საკონსტიტუციო კოლაფსში აღმოჩნდებოდა.

***– გამოსავალს რაში ხედავთ?***

– მათ ბოლო ამოსუნთქვა აქვთ და ღვარძლს აყოლებენ. სააკაშვილი მაქსიმალურად ცდილობს, თავისი ხელის ბიჭები ბოლომდე გამოიყენოს, აქეთ მოსამართლეები, იქით ტელევიზიის დირექტორი.

დღეს სასამართლოში განაჩენების 99% არის სამართლიანი, ერთ პროცენტს კი სუფთა ადამიანურ ფაქტორს ვუტოვებ. შეიძლება ნებისმიერს მოუვიდეს შეცდომა. მე დღეს ვიცი, რომ სამართლიანი პროცესი მელოდება და წნეხისგან გათავისუფლებულია სასამართლო. ცხრა წლის განმავლობაში მე გამამართლებელი განაჩენი არ მქონია და მე კი არა, არავის არ ჰქონია ჩემ გარშემო. წავა პაპუაშვილი და მოვა ადამიანი, რომელიც მოახერხებს და საკონსტიტუციო სასამართლოს ღირსებას დაუბრუნებს.

***– როდის დაიწყო ზეწოლაზე განცხადებები?***

– მას შემდეგ, რაც 2016 წლის 21 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ დააკმაყოფილა ნაცმოძრაობის სარჩელი მაჟორიტარული ოლქების მოწყობის პრინციპის გაუქმებაზე, პაპუაშვილი მიხვდა, რომ მისი და, შესაბამისად, ნაციონალური მოძრაობის გავლენის სფეროდან გასვლა დაიწყო მოსამართლეების უმრავლესობამ, შესაბამისად, მიიღო ახალი დავალებები.

***– რა დავალება?***

– საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას, კონკრეტულად კი მის წევრ 3 მოსამართლეს უნდათ, გააუქმონ ის ნორმები, რომლებიც მოქმედებს ყველა ქვეყანაში!

***– კერძოდ?***

– არჩევნების წინ უნდათ გააუქმონ სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლი (მითვისება-გაფლანგვა), რათა „პოლიტიკური პატიმრის“ სარჩულით ციხიდან გათავისუფლდეს გიგი უგულავა, ასევე პოლიტიკური პატიმრების სარჩულით გათავისუფლდნენ კაბელების საქმეების მსჯავრდებულები.

ასევე ცდილობენ, გაუქმდეს ის მუხლი (ამორალურობის თაობაზე), რომლითაც რუსთავი 2-ის წინააღმდეგ მიდის დავა, რათა საერთო სასამართლოში მიმდინარე დავას აზრი დაეკარგოს და საბოლოოდ ნაციონალური მოძრაობის ხელში დარჩეს მთავარი სააგიტაციო მანქანა – რუსთავი 2.

ასეთი ნორმების გაუქმების ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს! ნორმებს აუქმებენ 3 საქმის გამო! ეს არის რუსთავი 2-ის საქმე, კაბელების საქმე და უგულავას საქმე!

დაინახეს, რომ კონტროლი დაკარგეს საერთო სასამართლოებზე და ამით ცდილობენ, გააჩერონ ისინი. ამას აკეთებს ისევ პირველი კოლეგია, რომელიც იხილავს ყველა პოლიტიკურ საქმეს, რომელთაც ყოველთვის, ვითომ შემთხვევით, ეწერება ეს საქმეები. შეიკრიბება 3 მოსამართლე და მათში უმრავლესობა ანუ 2 გადაწყვეტს ამა თუ იმ ნორმის გაუქმებას და ასე უნდა მართონ ეს პროცესი! ეს წარმოუდგენელია – ჯერ გამოძიებული უნდა იყოს ყველა ის დარღვევა, რომლებიც გაჟღერდა და მეორე, დაუშვებელია, საკონსტიტუციოს ამ 3-კაციანმა ზონდერ ჯგუფმა მიაღწიოს თავის მიზანს.

***– რა არის საბოლოო მიზანი?***

– ამაზე მახსენდება სააკაშვილისა და გვარამიას საუბარი, რომლის ავთენტურობა თავად გვარამიამ დაადასტურა. საზოგადოებას უნდა შევახსენოთ:

გვარამიას კითხვაზე, თუ როგორ ხედავს ის მოვლენების განვითარებას რუსთავი 2-ის თემაზე, სააკაშვილი პასუხობს: „უნდა წავხვიდეთ რევოლუციურ სცენარზე“. „იშოვეთ ბოევიკები, რომლებიც დაიცავენ. საბოლოო ჯამში, ეს სროლით დამთავრდება უცებ“, – ეუბნება სააკაშვილი გვარამიას.

სამწუხაროდ, ეს ის ხალხია, რომელიც სხვა გზას ვერ ხედავს. ეს არის მათი მეთოდი, როგორც არ უნდა შეფუთონ თავიანთი ზრახვები, სისხლზე გაივლიან, ოღონდ თავიანთ პოლიტიკურ მიზანს მიაღწიონ.

# დავით ნარმანია: „თბილისელებო, უნდა დაგზვეროთ“

## დედაქალაქის მერის მოადგილედ სამხედრო დაზვერვის ოფიცერი დაინიშნა

შორენა მარსაგიშვილი

დედაქალაქის მერიაში მიმდინარე პროცესები ერზე გამაოგნებლად მოქმედებს. გუშინ, 2 აგვისტოს, ერი კიდევ ერთხელ გაოცდა, როცა გაიგო, რომ დედაქალაქის მერის მოადგილედ სამხედრო დაზვერვის ოფიცერი ინიშნებოდა. ამ ამბით ყველაზე მეტად ნაციონალები იყვნენ გაოგნებული. არადა, სულ რაღაც 8 წლის წინ, 2008 წლის აგვისტოს ომში, თბილისის მაშინდელი მერი სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანელთა შორის იყო.

ნარმანიამ, ალბათ, იფიქრა, რით ვარ წინამორბედზე ნაკლებიო და მოადგილედ სამხედრო კადრი შეარჩია. ბოროტ ხმებს თუ დავუჯერებთ, ივანიშვილმა შეურჩია, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ მისი მოადგილე სამხედრო დაზვერვის ოფიცერი გიგა ნიკოლაიშვილი გახდა.

ნიკოლაიშვილთან ერთად საკრებულოს დასამტკიცებლად მერის კიდევ ერთი მოადგილის კანდიდატურა წარუდგინეს. ნატო ქიტიაშვილი და გიგა ნიკოლაიშვილი დეპუტატების წინაშე უკვე ნაკურთხმა ვიცემერმა ირაკლი ლექვინაძემ წარადგინა.

თავდაპირველად დეპუტატებმა ნატო ქიტიაშვილის სამოქმედო გეგმას მოუსმინეს და კითხვებითაც მიმართეს.

საბოლოო ჯამში, მას მხარი დაუჭირა 26-მა დეპუტატმა, 9 მოწინააღმდეგე იყო, 4-მა კი თავი შეიკავა. ქიტიაშვილი ამ დრომდე თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი იყო.



გიგა ნიკოლაიშვილთან უფრო რთულად იყო საქმე. ის 2 აგვისტომდე დედაქალაქის მთავრობის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა.

მის კანდიდატურასთან დაკავშირებით საკრებულოს ოპოზიციამ თბილისის მერის უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა.

დამოუკიდებელ დეპუტატ ალეკო ელისაშვილის თქმით, მისთვის გაუგებარია, სამხედრო დაზვერვის ოფიცერი რატომ ინიშნება მერის მოადგილის თანამდებობაზე.

ელისაშვილმა უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საკრებულოს სხდომაზე კანდიდატები

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# დავით ნარმანია: „თბილისელებო, უნდა დაგზვეროთ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძემ წარადგინა და არა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ. წესითა და რიგით, ნარმანიას ეკუთვნოდა საზოგადოებისთვის მოადგილეების წარდგენა.

ნიკოლაიშვილის კანდიდატურის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს რესპუბლიკელებმაც.

ამ საკადრო გადაწყვეტილებას დავით ზურაბიშვილი მოახლოებულ არჩევნებს უკავშირებს.

– უშიშროების კადრების მოსვლა თბილისის მერიაში საარჩევნო პროცესთან არის დაკავშირებული, – ამბობს დავით ზურაბიშვილი.

უკმაყოფილოა თბილისის საკრებულოში რესპუბლიკური პარტიის თავქალი ხათუნა სამნიძეც.

– ეს საკადრო ცვლილება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თბილისს არაპოპულარული მერი ჰყავს და დღეს



მერიაში ქაოსი სუფევს, – აღნიშნა სამნიძემ.

ფორუმის წარმომადგენელმა, გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე შორენა ბუხრაშვილმა სხდომაზე ყველა ის პირი ჩამოთვალა, რომლებიც თბილისის მერიაში ბოლო პერიოდში მუშაობდნენ და სტრუქტურული ცვლილებების შედეგად გათავისუფლდნენ.

ბუხრაშვილი დაინტერესდა, თუ სად იმყოფებიან ახლა აღნიშნული პირები. მისი ინტერესი სანახევროდ დააკმაყოფილა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილმა.

– იმხელა სია ჩამოთვალეთ, რომ ამას 2 სხდომა არ ეყოფა, – აღნიშნა საკრებულოს თავკაცმა.

რაც შეეხება გიგა ნიკოლაიშვილს, მან მისი წარსულის გახსენება არაფრად ჩააგდო.

– მეამაყება, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად ქვეყნის უსაფრთხოებას ვიცავდი, – განაცხადა უკვე მერის მოადგილემ.

დიდი ალიაქოთის მიუხედავად, მისი კანდიდატურა მაინც დამტკიცდა. მას 23-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 17 კი წინააღმდეგი წავიდა.

* * *

დავით ნარმანიას მოადგილედ სამხედრო მზვერავი ჰყავს. შესაბამისად, მერს თავისუფლად შეუძლია მერიის სახურავზე ასვლა და იქიდან დაძახება: თბილისელებო, უნდა დაგზვეროთ!

# პაატა ჯიბლაძე: „პაპუაშვილი უბადრუკ პროვოკაციებში ჩაერთო“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ხალხსაც ვეღარ ატყუებენ. ხელისუფლებას რომ დროულად დაეწყო სამართლიანობის დამყარება და კოაბიტაცია არ გაება ნაცმოძრაობასთან, პაპუაშვილი ამდენს ვერ გაბედავდა. ახლა ბოკერიაც ბევრს ბედავს და პაპუაშვილიც, დავით ბაქრაძე კი წინასაარჩევნოდ ნიანგის ცრემლებს ღვრის.

***– ნიანგის ცრემლებს რაზე ღვრის?***

– პენსიონერები და ბიზნესმენები ეცოდება. პენსიონერებს 50 ლარით ჰპირდება პენსიის მომატებას, ბიზნესს კი – ამნისტიასა და შეღავათებს. საინტერესოა, ის ვინ იყო, 9 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ბიზნესს რომ ატერორებდა, პენსიონერებს კი აშიმშილებდა?!

***– საარჩევნო გარემოზე რისი თქმა შეიძლება?***

– საარჩევნო კანონმდებლობა იდეალური არ გვაქვს, მაგრამ არის დიდი სხვაობა წინა ხელისუფლებასა და „ქართულ ოცნებას“ შორის. ამ დღეებში ვიყავი უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე. ადრე ამ კომისიას ბოკერია და კინწურაშვილი ხელმძღვანელობდნენ. მაშინდელი წინასაარჩევნო სიტუაციები მახსოვს. იმ დროს გვატერორებდნენ არა მარტო ოპოზიციას, არამედ აშინებდნენ მოსახლეობასაც. ხალხი ვერ ბედავდა იმ პარტიებთან შეხვედრებს, რომლებიც ნაციონალების სატელიტები არ იყვნენ. ახლა უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე თეა წულუკიანია. მისი სხდომები კონსტრუქციულად მიმდინარეობს. ადგილობრივი არჩევნები ნორმალურად ჩატარდა. ხალხს ჩვენთან შეხვედრებს არავინ უშლის. ტერორი აღარ არის. თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, არჩევნები ნორმალურად უნდა ჩატარდეს. მომავალ პარლამენტში მოსვლის შანსი გაგვიჩნდა სხვა პარტიებსაც.


# კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად

**მიმართულება სამართალი**
**სპეციალობა კერძო სამართალი**
ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 2 ვაკანსია
**სპეციალობა სისხლის სამართალი**
ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 2 ვაკანსია
**სპეციალობა საჯარო სამართალი**
ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 2 ვაკანსია
**მიმართულება ბიზნესის ადმინისტრირება**
ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 2 ვაკანსია
**მიმართულება სოციალური მეცნიერებები**
**სპეციალობა საერთაშორისო ურთიერთობები**
პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 1 ვაკანსია
**სპეციალობა პოლიტიკის მეცნიერებები**
პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 2 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 5 ვაკანსია
**მიმართულება ჯანდაცვა**
**სპეციალობა მედიცინა**
ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 2 ვაკანსია
სისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 2 ვაკანსია
**სპეციალობა სტომატოლოგია**
პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 2 ვაკანსია

**კონკურსი ცხადდება 2016 წლის 4 აგვისტოდან**

**აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველებმა 2016 წლის 5 სექტემბრიდან 8 სექტემბრის ჩათვლით კონკურსანტთა საბუთების მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, შესაბამისი სპეციალობისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით (ივსება ადგილზე);
- ავტობიოგრაფია (CV);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ერთი ფოტოსურათი;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი ყველა საგანმანათლებლო დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- სამეცნიერო–პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;
- პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;
- ინფორმაცია ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ;
- საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, სასერთიფიკატო კურსებსა თუ ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელსაც მეტი ექნება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა);
- სამეცნიერო სტიპენდიებისა და გრანტების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.

**უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის თანახმად:**

1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები და რომელიც აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრულ პირობებს. პირი პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ აირჩევა....

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება....

3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით....

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით შეიძლება განისაზღვროს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლის პირველი?მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

**პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად დამატებით საჭიროა:**

- იმ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კონცეფცია (აღწერა), რომლის განხორციელებაში მონაწილეობის სურვილიც აქვს კონკურსანტს;
- იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში;
- საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ყველა სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება ინგლისური ენის ცოდნას.

**ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად დამატებით საჭიროა:**

- შესაბამის დარგში იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში;
- საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ყველა სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება ინგლისური ენის ცოდნას.

**პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დასადასტურებლად:**

- დარგში მუშაობის პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს, შესაბამის დარგში, წამყვან თანამდებობებზე არანაკლებ 5 წლის მუშაობის პრაქტიკული გამოცდილებით;
- უპირატესობა მიენიჭება ინგლისური ენის ცოდნას.

**კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:**

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კონკურსანტთა შერჩევა (კონკურსანტების დაუსწრებლად);
2. პირველ ეტაპზე შერჩეული კონკურსანტების საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება / იმიტირებული ლექციის ჩატარება (საჭიროების შემთხვევაში).

**კონკურსის პირობები:**

საკონკურსო განაცხადი და შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იყოს საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადებში;

უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ძირითად კრიტერიუმებთან კონკურსანტების განაცხადების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დოკუმენტაციის გადარჩევა მოხდება საკონკურსო კომისიის მიერ.

**კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდება 2016 წლის 9 სექტემბერს;**
**კონკურსის მეორე ეტაპი ჩატარდება 2016 წლის 10 სექტემბერს;**
**შედეგები გამოქვეყნდება 2016 წლის 10 სექტემბერს;**

**კონკურსანტთა საბუთების მიღება იწარმოებს მისამართზე:**
**ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა №73, VII სართული, ოთახი № 712**
**ტელ.: 261-12-98; 2 30-86-41; 210-52-03**

# საქართველოში სამართლიანობის აღდგენისთვის ისევ ტირიან!

**ბატონო პრემიერო, ბატონო ეკონომიკის მინისტრო, ბატონო სასამართლოს თავმჯდომარევ!**





## ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების აბუჩად აგდებას ბოლო უნდა მოეღოს!

2016 წლის 5 აგვისტოს, 10:00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დიანა ფარქოსაძე კიდევ ერთ ცნობილ საქმეზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან მოქალაქე როლანდ ბლადაძის ჩამორთმეულ, სადავო ქონებაზე გადაწყვეტილებას გამოაცხადებს! დავის საგანია 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, როგორც კანონსაწინააღმდეგო და ამორალური. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისთვის სხვისი ქონება მიხეილ სააკაშვილმა სიმბოლურ ფასად, 1000 ლარად გიორგი პაპუაშვილს გადასცა. აგრეთვე, სასარჩელო მოთხოვნაა გიორგი პაპუაშვილის არაკეთილსინდისიერ შემძენად და მფლობელად აღიარება. საქმეში არსებობს პირდაპირი მტკიცებულებები, რომლითაც აღნიშნულია, რომ გიორგი პაპუაშვილმა იცოდა ქონების სადავოობის თაობაზე. შესაბამისად, უარი არ თქვა ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადასვლაზე. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ როლანდ ბლადაძის სარჩელი არ ცნო, მხარი არ დაუჭირა მიხეილ სააკაშვილის მოწმის სახით დაკითხვას, დაუსაბუთებლად გაამართლა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დროს სამინისტროს პირველი პირების მოქმედებები. სახელმწიფომ ვერ შეძლო ალტერნატიული ფართის შეთავაზება გიორგი პაპუაშვილისთვის, ხოლო გიორგი პაპუაშვილს, საკონსტიტუციო სასამართლოს რეპუტაციიდან გამომდინარე, არ ჰყოფნის სათანადო სიმტკიცე, რომ სადავო ქონება დაუბრუნოს სახელმწიფოს. ჩვენ, საზოგადოება, სამართლიანობის აღდგენის პროცესში აღნიშნულ საქმეზე ვიმკით საწინააღმდეგო შედეგებს. სასამართლო ხელისუფლების მიმართ მიმდინარეობს ტოტალური ზეწოლა, რაც არ გვიტოვებს კანონის უზენაესობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობას! ჩვენ, როლანდ ბლადაძის უფლებების დამცველი ორგანიზაცია, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საზოგადოებამ სრულად იცოდეს საქმესთან დაკავშირებით ყველა ფაქტობრივი გარემოება. ჩვენ მივმართავთ სასამართლოს, რომ შეძლოს პოლიტიკური ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება! მივმართავთ მოსამართლეებს – მთავრობები მიდიან და მოდიან, მანტია რჩება! დავდგეთ როლანდ ბლადაძის ღირსების და უფლებების დასაცავად, ვისაც ქვეყანაში უკეთესობა და სამართლიანობა გვინდა!

® ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

# ევროპიდან აზიისკენ „ასაფრენ ბილიკად“ საქართველო მოიაზრება



„ევროპიდან აზიისკენ „ასაფრენ ბილიკად“ საქართველო მოიაზრება“ – ამ სათაურით აქვეყნებს ვრცელ სტატიას წამყვანი ევროპული გამოცემა „NEWEUROPE“ საქართველოს შესახებ.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ევროპის პროგრამული უზრუნველყოფა აზიის ტექნიკურ ინფრასტრუქტურასთან საქართველოს გავლით დაწყვილდება.

თუ ფიქრობთ, რომ ევროკავშირი წუწუნის მუდმივ რეჟიმშია გადასული, სასწრაფოდ უნდა მიიღოთ ოპტიმიზმის აბი, რისთვისაც რეცეპტით გამოწერილი გაქვთ საქართველოს მონახულება.

ეს ქვეყანა რეფორმატორთა ლიდერია ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 სახელმწიფოს კოჰორტიდან. თუმცა, ხსენებული ქვეყნების ჩამონათვალში საქართველო იმითაც გამოირჩევა, რომ ევროპის მიერ სამეზობლო პოლიტიკისთვის გამოყოფილი რესურსებიდან პოლიტიკური, ეკონომიკური და დიპლომატიური დივიდენდები უკვე მოაქვს.

მალე ეს ქვეყანა შეიძლება იქცეს ევროკავშირის მთავარ სავაჭრო ასოცირებულ პარტნიორად და არა მხოლოდ იმის გამო, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება ამა წლის 1 ივლისს ამოქმედდა.

ეს უფრო, ალბათ, იმას უნდა მივაწეროთ, რომ საქართველოში თითქმის ყველამ იცის ამ შეთანხმების სახელიცა და მნიშვნელობაც. აქ აშკარად შვებას იგრძნობს ევროკომისია, რადგან ის შემჩნეულია პოლიტიკის სახელდებისა და ევროპის მოსახლეობამდე მისი არსის მიტანის უძლურობაში.

### ევროპიდან აზიისკენ „ასაფრენი ბილიკი“

დიპლომატიური კლიშეებით დიდი ხანი იყო საქართველო მნიშვნელოვან ქვეყნად მიჩნეული „მისი ადგილმდებარეობის გამო უფრო, ვიდრე იმით, რასაც რეალურად წარმოადგენდა“.

საქართველო კასპიის ზღვიდან ჯერ თურქეთისკენ და შემდეგ ევროპისკენ მიმავალი ბუნებრივი აირის დერეფნის შემადგენელი ნაწილია. ნავთობის ამჟამინდელი ფასების გამო ამ უმნიშვნელოვანესი ენერგეტიკული დერეფნის არსი ხშირად ნაკლებად თვალშისაცემია.

თუმცა, ეს ბოლო რამდენიმე დღეა, საქართველო აშკარად სხვა მიზეზით იპყრობს ევროპის ყურადღებას. ის შეიძლება მალე გახდეს ევროპიდან აზიისკენ „ასაფრენი ბილიკი“, ხოლო ჩინეთისთვის – ევროპისკენ „გაღებული ფანჯარა“.

### საქართველოს ევროპული პროგრამული უზრუნველყოფა

მოვლენათა ამ განვითარების ერთადერთი მიზეზი ქვეყნის ადგილმდებარეობა როდია.

ევროკავშირის ვაჭრობის სტანდარტებთან მიახლოების პროცესი უამრავ შესაძლებლობას ქმნის, რადგან ევროპული ვაჭრობის რეგულაციები ხშირად გლობალური სტანდარტების საფუძვლად გამოიყენება.

საქართველო ამ შესაძლებლობებს ხელგაშლილი ხვდება.

თუ აქამდე ყველა აპელირებდა, საქართველოს უნიკალური მდებარეობა გააჩნიაო, ევროკავშირთან გაფორმებულ ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებას არ დასჯერდა საქართველო და ახლა ჩინეთთან დააჩქარა თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების გაფორმების პროცესი.

მას უკვე გააჩნია მსგავსი შეთანხმებები დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობასთან (დსთ), მათ შორის რუსეთთან. ასევე თურქეთთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრ სახელმწიფოებთან.

საქართველოს საშუალებით დიდ სარეალიზაციო ბაზრებზე წვდომის გარდა, ქვეყანა გვთავაზობს დაბალ საგადასახადო განაკვეთებს, მინიმალურ რეგულაციებსა და გამჭვირვალობას – თან დიდი დოზით. სწორედ ამის გამოა, მსოფლიო ბანკის თანახმად, საქართველოში ბიზნესის კეთება ერთ-ერთი ყველაზე იოლი მთელ მსოფლიოში.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები საქართველოს განა მხოლოდ ღვინის, მინერალური წყლის, ხილის, თაფლის ან სასუქის ექსპორტისთვის სჭირდება. ეს ქვეყანა კი არის გარდამავალი ეკონომიკის მქონე და კი ცხოვრობს აქ 4.4 მილიონი ადამიანი, მაგრამ მისთვის ეს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები იმიტომ არის აუცილებელი, რომ გლობალური ლოჯისტიკის ცენტრად იქცეს რეგიონში.

ეს სტატუსი იმას გულისხმობს, რომ სარეალიზაციო ბაზრებზე წვდომის „პროგრამული უზრუნველყოფა“ ადგილმდებარეობისა და ინფრასტრუქტურის „ტექნოპარკთან“ წყვილდება.

ვინც რეგიონს კარგად იცნობს, ამგვარი „პროგრამული უზრუნველყოფა“ უფრო რთული მოსაძებნია, ვიდრე „ტექნიკური ინფრასტრუქტურა“. ბუნებრივია, ადგილი სჭირდება ყველაფერს, არადა, ერთი მხრივ, რუსეთსა და თურქეთს შორის, ხოლო მეორე მხრივ – შავსა და კასპიის ზღვებს შორის ბუტერბროდივითაა მოქცეული. ამ მდებარეობის გამო ბედი ყოველთვის როდი სწყალობდა საქართველოს.

### აზიის „ტექნიკური უზრუნველყოფა“

რადგან ადგილიც და პროგრამული უზრუნველყოფაც გავარკვიეთ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის საქართველო ფავორიტ ქვეყნად წარმოჩნდება.

2016 წლის თებერვალში ქვეყნის მთავრობამ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ასაშენებლად ქართულ-ამერიკული კონსორციუმი შეარჩია. ეს, ალბათ, ერთადერთი ადგილია შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე, რომელიც გიგანტური საკონტეინერო ხომალდების მიღებას შეძლებს.

ეს 3 მილიარდ 300 ათას ევროიანი პროექტი საზღვაო დერეფანს ქმნის ევროპას, ცენტრალურ აზიასა და ჩინეთს შორის.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი თამაშის წესებს შეცვლის, რადგან წელიწადში 100 მილიონი ტონის ტვირთბრუნვა გახდება შესაძლებელი სრული ექსპლუატაციის პირობებში. ეს კი ის შემთხვევაა, სადაც მასშტაბი მნიშვნელობას უდრის.

პორტი აშენდება სულ ახლახან აგებული ჩქაროსნული სარკინიგზო მარშრუტის ბოლოს, საიდანაც ჩინეთი ევროპას დაუკავშირდება. ტვირთმზიდები ჩინეთიდან პოლონეთში საქონლის მიწოდებას ამჟამად 11-14 დღეს ანდომებენ. თითქმის ამის ნახევარი დასჭირდება მომავალში საზღვაო გადაზიდვას.

ჩინეთიდან გზის მოჭრის გარდა, უზღვოდ დარჩენილი ქვეყნების – სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი – 17 მილიონიან მოსახლეობას ანაკლია პირდაპირ გზას სთავაზობს ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისკენ. იმპორტის შემთხვევაში უახლოესი გარემოცვის 146 მილიონი მოსახლისთვის ეს პორტი საქონლის მიწოდებას შეძლებს.

### საქართველოს ევროპული გზა

– ქართველებს კვნესა და წუწუნი არ სჩვევიათ, – ამბობს გამოცდილი სლოვაკი დიპლომატი და „გლობსეკის“ ანალიტიკური ცენტრის თავმჯდომარე რასტისლავ კაჩერი.

ის სიტყვით გამოდიოდა ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წლიურ შეხვედრაზე, რომელიც უკვე 13 წელია იმართება. ამჯერად მასპინძელი საქართველოს ულამაზესი საზღვაო საკურორტო ქალაქი ბათუმი იყო (2016 წლის 14-15 ივლისი).

საიუბილეო რიცხვი დამაფიქრებელია, თუმცა წელს განწყობა საზეიმო იყო.

ერთი მხრივ, დელეგატები შეიკრიბნენ იმაზე სამსჯელოდ, თუ როგორ მოახდინა ევროპული რეფორმების გამთავისებელმა ქვეყანამ სამომავლო გეგმების არამარტო დასახვა, არამედ უფრო მეტი წინსვლის მიღწევა. მეორე მხრივ, სალაპარაკოც ბევრი ჰქონდათ სამომავლო გეგმებზე.

სლოვაკეთის პრეზიდენტობის პერიოდში ბევრი დიპლომატისა და ევროკომისიის წარმომადგენლისთვის ბათუმი შეიძლება ამ ვადის ნათელი წერტილი იყოს. ამიტომაც მომდევნო თვეებში ბრიუსელში შეიძლება ჩვეულ წუწუნსაც ცოტა მოუკლონ.


**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინანდალის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - A, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 36 500 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინანდალის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

1 180 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

118 ლარი
ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის “გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ)დაცულიიქნესსაქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო ხოდაშენის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხოდაშენისხევის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 34 200 მ3 ).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო ხოდაშენის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

5 206 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

520,6 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

2 803 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 5 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 3 სექტემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 3 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 3 სექტემბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

3 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №15

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუკუზანი, „ვაშლები ნადარბაზევი„, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - C2, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 365 მ3/ წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუკუზანი, „ვაშლები ნადარბაზევი„

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

7 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

0,7 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

204 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 5 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 3 სექტემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 3 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 3 სექტემბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

# საჩხერის საავადმყოფოს პასუხი ნაციონალების დეზინფორმაციას

რამდენიმე დღის წინ ფეისბუკში შემთხვევით ვნახე ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტის – კობა სუბელიანის ვიდეო, რომელშიც ეს პიროვნება აცხადებს, რომ ივანიშვილს დღემდე არ გაუხსნია საჩხერის „საავადმყოფო, რომლის გახსნას მას ვითომ სააკაშვილი უშლიდა“ და რომ მან დაფინანსება შეუწყვიტა საავადმყოფოს და კომპლექსზე ზრუნვა სახელმწიფოს გადააბარა.

მიჩვეული ვარ ნაციონალური მოძრაობის მხრიდან აბსურდული ტყუილების ტირაჟირებას. რასაკვირველია, ამ პარტიის უმთავრეს სამიზნეს კვლავ წარმოადგენს ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც დაამარცხა ნაციონალები და მათი 9-წლიანი ძალადობრივი მმართველობა.

ამ წლებში ნაციონალების ტყუილების და ბინძური დეზინფორმაციის კამპანია შეეხო იმ უამრავ სასიკეთო საქმეს, რომელიც წლების განმავლობაში განხორციელდა ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით. ნაციონალების ყოველი მსგავსი კამპანია მათი მხილებითა და ტყუილის გამოაშკარავებით სრულდებოდა. თუმცა, ამის მიუხედავად, სააკაშვილის პარტია არ ეშვება საკუთარი თავის მაზოხისტურ გამასხარავებას.

ამჯერად მორიგი დეზინფორმაციული შეტევის სამიზნედ ნაციონალებმა შეარჩიეს საჩხერის საავადმყოფო, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. ამიტომ მინდა გავცე პასუხი მათ ცილისწამებას.

საჩხერის საავადმყოფო არის 2005 წელს ამოქმედებული ევროსტანდარტების უნიკალური სამედიცინო კომპლექსი, რომელსაც აღჭურვილობით და ტექნიკური სპეციფიკაციებით დღემდე არ გააჩნია ანალოგი ქვეყანაში და ითვლება საუკეთესო კლინიკად.

ნაციონალებმა თავადაც ძალიან კარგად იციან ამის შესახებ, თუმცა წინასაარჩევნო პერიოდში ცდილობენ ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფინანსებული ისეთი სფეროს ობიექტების დისკრედიტაციას, რომელთა განვითარება ბოლო წლებში არათუ აშკარაა, არამედ უცხოეთისთვისაც სანიმუშოა.

საჩხერის სამედიცინო ცენტრის მშენებლობაზე, რეკონსტრუქციაზე, აღჭურვასა და პაციენტების უფასო მკურნალობაზე (48 ათასი ადამიანი 10 წლის განმავლობაში) 2005 წლიდან დღემდე „ფონდმა ქართუმ“ 100 მილიონ დოლარზე მეტი გამოყო.

წლების განმავლობაში საჩხერის სამედიცინო კომპლექსი მუშაობს არა მხოლოდ როგორც გადაუდებელი დახმარების, სამკურნალო და სარეაბილიტაციო დაწესებულება, არამედ როგორც საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცენტრი, რომელსაც გააჩნია სასტუმრო, მედპერსონალის საცხოვრებელი კორპუსი და საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისთვის.

წლების განმავლობაში ამ უნიკალურ კომპლექსში არაერთმა სტუდენტმა გაიარა მომზადება და ჩამოყალიბდა კვალიფიციურ სპეციალისტად. ეს საქმე დღესაც წარმატებით გრძელდება.

2005 წლიდან დღემდე საჩხერის სამედიცინო კომპლექსი (8 ძირითადი კორპუსი და 3 დამხმარე ნაგებობა) მუშაობს გამართულად და ემსახურება საჩხერის მოსახლეობას. ხოლო ნაციონალების მიერ „დღემდე არგახსნილი“ და გაჩერებულად გასაღებული კორპუსი, რეალურად არის ამ უნიკალური კომპლექსის ყველაზე საინტერესო ნაწილი.

ჯერ კიდევ საავადმყოფოს მშენებლობისას, ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, კომპლექსის მომავალი განვითარებისთვის წინასწარ აშენდა პერსპექტივაზე გათვლილი კორპუსი, რომელიც მზადაა ექსპლუატაციისთვის და ამუშავდება მაშინვე, როგორც ამის საჭიროება დადგება.

სწორედ ამ უნიკალურ კორპუსს მიადგა ნაციონალური მოძრაობა.

ამ ეტაპზე კომპლექსის მოქმედი კორპუსები სავსებით საკმარისია პაციენტების დღეს არსებული რაოდენობისთვის. იმ შემთხვევაში, თუ მომავალში კვლავ არ დადგება სათადარიგო კორპუსის სამკურნალო დაწესებულებად ამოქმედების საჭიროება, ჩვენ შემუშავებული გვაქვს გეგმა, რომლის მიხედვით, სათადარიგო კორპუსში განთავსდება სამეცნიერო ცენტრი.

რაც შეეხება საჩხერის საავადმყოფოს დაფინანსებას.

2013 წლიდან საჩხერის სამედიცინო კომპლექსი სხვა კლინიკებთან ერთად ჩაერთო საყოველთაო ჯანდაცვის სისტემაში, რადგან ქვეყანაში ვერ იმოქმედებდა ორი სხვადასხვა სისტემა. დღეს საჩხერის საავადმყოფოს ძირითადად აფინანსებს სახელმწიფო, თუმცა კომპლექსი, მისი უნიკალობიდან გამომდინარე, მაინც საჭიროებს თანადაფინანსებას, რასაც დღემდე ახორციელებს „ფონდი ქართუ“.

რაც შეეხება სუბელიანის მეორე სიცრუეს.

მოსახლეობას ახსოვს, რომ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში საყოველთაო ჯანდაცვა არ არსებობდა, სამედიცინო დახმარების მიღება კი მოსახლეობის უმრავლესობისთვის ფუფუნებას წარმოადგენდა.

ამ სავალალო მდგომარეობას ვერ შეცვლიდა მხოლოდ საჩხერის საავადმყოფო, რომელიც ემსახურებოდა ქართუ დაზღვევის მქონე 48 ათას მოქალაქეს. ამ ვითარებაში მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ბიძინა ივანიშვილის და დღევანდელი ჯანდაცვის მინისტრის (იმ პერიოდში საჩხერის საავადმყოფოს მთავარი ექიმის), დავით სერგეენკოს ინიციატივით შეიქმნა პროექტი, რომელიც გულისხმობდა ემერჯენსის 12 პუნქტის აშენებას საქართველოს ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარედ აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, რათა მოქალაქეებს შეძლებოდათ გადაუდებელი დახმარების მიღება დროის უმოკლეს პერიოდში.

საწყის ეტაპზე, „ფონდმა ქართუმ“ ააშენა ურეკის ემერჯენსის ექსპერიმენტული პუნქტი, რომელიც 7 წელი წარმატებით, უფასოდ ემსახურებოდა მოსახლეობას.

ურეკის წარმატებული ექსპერიმენტის შემდეგ დაგეგმილი იყო კიდევ 11 მსგავსი პუნქტის აშენება. თუმცა ურეკის პუნქტის შემდეგ მოხერხდა მხოლოდ ბორითის ემერჯენსის პუნქტის აშენება. მშენებლობა დასრულდა 2012 წელს, მაგრამ სააკაშვილმა ჩაშალა მისი გახსნა. სწორედ ამ ჩაშლაზე იყო საუბარი და არა – საავადმყოფოზე, რასაც სუბელიანი სულ სხვა კონტექსტში ახსენებს თავის ვიდეომიმართვაში.

ემერჯენსის დანარჩენი პუნქტების აშენებას კი სააკაშვილის ხელისუფლება საერთოდ შეეწინააღმდეგა იმ მიზეზით, რომ ამგვარი დაწესებულებების მშენებლობა თურმე ხელს შეუშლიდა ფასიანი კერძო კლინიკების განვითარებას და მოგებას დაუკარგავდა მათ.

საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ქვეყანაში დაუყოვნებლივ იქნა შემოღებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც გულისხმობდა დაზღვევას ქვეყნის მთელი მოსახლეობისთვის. შესაბამისად. ემერჯენსის სისტემის აუცილებლობა ჩაანაცვლა ახალმა, მსოფლიოში უპრეცედენტო ჯანდაცვის პროგრამამ.

სახელმწიფო დაფინანსების პარალელურად „ფონდი ქართუ“ გააგრძელებს საჩხერის სამედიცინო კომპლექსის თანადაფინანსებას მანამ, სანამ ქვეყნის ბიუჯეტი და ჯანდაცვის სისტემა არ მოძლიერდება იმ მდგომარეობამდე რომ თავად შეძლოს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ახალი უნიკალური პროექტების განხორციელება და ექსპლუატაცია.

დღეს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ეწვიოს საჩხერის სამედიცინო კომპლექსს და თავისი თვალით შეაფასოს ობიექტის ხარისხი და უნიკალობა. ყველას შეუძლია მოინახულოს ის სათადარიგო კორპუსიც, რომელიც ნაციონალებმა გაასაღეს „დღემდე არგახსნილ საავადმყოფოდ“ და თავის თვალით ნახოს, რომ შენობა აშენების დღიდან მზადაა ექსპლუატაციისთვის, თუ ამის საჭიროება დადგება.

და, რაც მთავარია, ყველა დაინტერესებულ მოქალაქეს თავის თვალით შეუძლია ნახოს, რომ ნაციონალების ბრალდებები ამჯერადაც წარმოადგენს მტკნარ სიცრუეს, გაუგონარ უმადურობასა და უსინდისო დეზინფორმაციას.

**სს საჩხერის რაიონული საავადმყოფოს პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორი ეკატერინე ტიკარაძე**

## სპორტი

## ბარსელონა ფეხბურთელს კალათბურთელში ცვლის

უცნაურ ტრანსფერს აპირებს ბარსელონის ხელმძღვანელობა. კატალონიელებს სურთ, საფეხბურთო გუნდის მარჯვენა მცველი დუგლას პერეირა ალავესში გაუშვან, სანაცვლოდ კი კალათბურთელი მიიღონ.

ბარსელონას რომ დუგლასის გასხვისება უნდა, ეს სიახლე არ არის. პრობლემას ის ქმნის, რომ ფეხბურთელს ესპანეთში დარჩენა სურს და აქამდე მისი მსურველი ესპანური გუნდი არ ჩანდა.

ესპანური მედიის ცნობით, კატალონიელებმა ესპანური საკალათბურთო გუნდის, კუჩა ლაბორალის მოთამაშის, ადამ ჰანგას ტრანსფერზე შეთანხმებას მიაღწიეს. ამ საკალათბურთო კლუბის პრეზიდენტი ხოზეა კერეხეტა, ამავდროულად, საფეხბურთო კლუბ ალავესის პრეზიდენტიცაა. მან სურვილი გამოთქვა, ჰანგაში, ფულის ნაცვლად, ბარსელონის რომელიმე ფეხბურთელი მიელო. კატალონიელებმა მას დუგლასი შესთავაზეს და




ახლა ისინი პასუხს ელოდებიან.

პერეირას გარდა, კატალონიურ კლუბს კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებს:

ბარსელონის ვებგვერდის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კონტრაქტის გაწყვეტაზე შეუთანხმდნენ 28 წლის ნახევარმცველი ალექს სონგს.

ასევე ვერ მიიღეს მომავალ თანამშრომლობაზე გადაწყვეტილება ბარსელონამ და 22 წლის მარჯვენა მცველმა მარტინ მონტოიამ.

არადა, მონტოია ბარსელონის სკოლის აღზრდილია და პირველ გუნდში 2011 წელს დაწინაურდა. ახალგაზრდა მცველმა საკმაოდ ითამაშა კატალონიურ გუნდში – 66 მატჩი ჩაატარა და 2 გოლით გამოიჩინა თავი.

შესაძლოა, კარიერა იტალიაში გააგრძელოს ბარსელონის ბელგიელმა მცველმა, თომას ვერმალენმა. ბელგიელის იჯარით აყვანა გამოსყიდვის უფლებით, რომას ინტერესებშია. ვერმალენის გამოსყიდვაში ბარსელონა 15 მილიონ ევროს ითხოვს.

კატალონიელები უკვე დაუკავშირდნენ რომაელებს ფეხბურთელის ტრანსფერთან დაკავშირებით.

ბარსელონის ნახევარმცველი სერხი სამპერი კი ვალენსიაში გადასვლასთან არის ახლოს.

21 წლის ფეხბურთელი შესაძლოა „ღამურებს“ იჯარის წესით შეუერთდეს. მხარეები ამჟამად ტრანსფერის დეტალებს განიხილავენ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**1 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ამიენი-რეიმსი ................................ 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრასნოდარი-ტომი ....................... 3:0

რუბინი-ამკარი ............................. 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოგონი-შლიონსკი ....................... 0:2

**დანია. სუპერლიგა**

ოლბერგი-ოდენზე ....................... 2:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-დიურგარდენი ............. 2:1

იორებრო-მალმიო ....................... 0:3

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ვალერენგა-მიოლდე .................... 3:0

## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ასტროპროგნოზი

### 3 აგვისტოსთვის



**ვერძი** – აქტიური და შემოქმედებითად დატვირთული დღეა. თქვენი შრომა შედეგს გამოიღებს. უცხო ადამიანების რჩევებს არ ენდოთ. **კურო** – სამსახურში კონფლიქტი გელით. ყველანაირ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ, იყავით მოწესრიგებული და გული არ გაიტეხოთ. **ტყუპები** – თავს ცუდად გრძნობთ. ქრონიკული ავადმყოფობები მწვავდება. სამსახურშიც პრობლემებია მოსალოდნელი, თუმცა სერიოზულ კონფლიქტამდე საქმე არ მივა. **კირჩხიბი** – მთელი დღე ენერგიით ხართ სავსე. ოპტიმისტურად ხართ განწყობილი. ამის მიუხედავად, სიძნელეები მაინც შეგხვდებათ. **ლომი** – დღეს თქვენი საქმიანი აქტივობა სათანადოდ დაფასდება. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. **ქალწული** – შემოქმედებითად დატვირთული დღეა. თქვენი აქტიურობა ნანატრ შედეგს გამოიღებს. უცხო ადამიანების რჩევებს არ ენდოთ. **სასწორი** – იზრდება სულიერი, შემოქმედებითი და სექსუალური შესაძლებლობები. გეგმები საფუძვლიანად გეცვლებათ. **ღრიანკალი** – მძიმე დღეა. იყავით თვითკრიტიკული. პირველ რიგში, საკუთარ თავში განდიდების მანია დათრგუნეთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა. სამსახურში პრობლემები უმტკივნეულოდ გვარდება. იოლად ნურავის მიენდობით. **თხის რქა** – მთელი ენერგია საქმეს მოახმარეთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში იგრძნობთ თავს სრულფასოვან ადამიანად. ნუ იქნებით სუბიექტური. **მერწყული** – უფროსობასთან კონფლიქტი გელით. ავტორიტეტს გაუფრთხილდით. აუცილებელია, მოვლენები საღად შეაფასოთ. **თევზები** – ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის დღეა. შესაძლოა, ძალზე წარმატებულ ადამიანებთან მოგიწიოთ თანამშრომლობა, თუმცა მთელი თქვენი ნიჭი და უნარი მხოლოდ თავდაუზოგავი შრომის წყალობით გამოვლინდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. მარცვლეულის შესანახი ხის ნაგებობა დასავლეთ საქართველოს სოფლებში; 2. ღვინის დანალექი; 3. სპირტიანი სასმელი; 5. სათეატრო ცეკვის ხელოვნება; 6. ქალაქ ფოთის პირველი მერი; 9. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 11. ალუბლისაგან დამზადებული ფრანგული ლიქიორი; 14. შინაური წვრილფეხა ცხოველი; 16. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 18. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული.

**თარაზულად**: 1. მარწყვის ჯიში; 4. უწახნაგოდ, მრგვალად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 7. მრავალწახნაგა გეომეტრიული ფიგურა; 8. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 12. კლდეში ნაკვეთი ისტორიული ქალაქი იორდანიაში; 13. დედამიწის თანამგზავრი; 15. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 17. რაიმე საქმეში შეტანილი წილი; 19. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 20. კვების გარკვეული რეჟიმი; 21. წყალი მყარ მდგომარეობაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პლანკი; 2. ენეიდა; 3. აფინაჟი 4. ჰიპნოსი; 5. შნიცელი; 7. ვაჩნაძე; 11. ჩაქვი; 12. ფიასკო; 13. ვოლიერი; 14. ფლუგერი; 15. საჰარა; 17. რიბერი; 19. ჰოკუ.

**თარაზულად:** 5. შაოლინი; 6. ხარფუხი; 8. დაჩი; 9. ტანგო; 10. ერმისა; 11. ჩილე; 13. ვერმონტი; 14. ფუქსი; 16. კროსი; 18. ხაიფა; 20. რაშკული; 21. რეპრიზა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გემა; 2. განგი; 3. კაისა; 5. იბერია; 6. ლემბერგი; 9. ენტომოლოგი; 10. იონოსფერო; 11. კუბერტენი; 14. უშუ; 16. გელათი; 18. ანსა.

**თარაზულად:** 1. გორგია; 4. შვიდეული; 7. ანდორა; 8. სუპორტი; 12. ოტელო; 13. გურონი; 15. ლონდრე; 17. ალი; 19. ალექსანდრია; 20. დინგო; 21. შამონი.

# განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**იყიდება**

● იყიდება მაღალი ხარისხის სმენის აპარატები (სმენადაქვეითებულთათვის) გარანტიით, ძირითადად იაპონური და გერმანული წარმოების. ტელ: 272-95-11; 597-99-15-19.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

**მკურნალობა**

● ექიმიპროფესიონალივმკურნალობ სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოს, სათესლე ჯირკვლებისა და პროსტატის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ სათანადო აპარატსა და კავშირის დასამყარებელ საიმედო „ერექტორს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ვაისი: „ჭკვიანი სპეციალისტი ანანიძეს მოედანზე ადგილს ყოველთვის მოუძებნის“

ევროპის ლიგაზე და რუსეთის ჩემპიონატში მოსკოვის სპარტაკმა სულ 2 მატჩის ჩატარება მოასწრო, მაგრამ ქართველმა ფეხბურთელმა ჯანო ანანიძემ უკვე აალაპარაკა რუსი საფეხბურთო სპეციალისტები.



ქართველმა ნახევარმცველმა ერთხელ ლარნაკას აპოელს გაუტანა, ხოლო ორჯერ – ტულის არსენალს. სწორედ ტულელებთან მატჩში იხუმრა რუსმა კომენტატორმა, ამ კვირის ოქროს ბურთი გადაეცით ანანიძესო.

სამაგიეროდ, არ ხუმრობს ყველაზე პოპულარული რუსული სპორტული გამოცემა „სპორტ-ექსპრესი“, რომლის ვერსიით, ანანიძე რუსეთის პრემიერლიგის პირველი ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

გარდა ამისა, რუსეთის ჩემპიონატის პირველი ტურის საუკეთესო ხუთეულში ანანიძის ორივე გოლი მოხვდა.

„სპორტ-ექსპრესი“ ამასაც არ დასჯერდა და ანანიძის თაობაზე საქართველოს ნაკრების ყოფილ და ახალ მწვრთნელებს – თემურ ქეცბაიასა და ვლადიმირ ვაისს ესაუბრა.

ჩვენ ვაისთან საუბარს შემოგთავაზებთ, რომლისთვისაც რუსეთის ჩემპიონატი უცხო არ არის, რადგან რამდენიმე წელი იქ იმუშავა.

***– თუ უყურეთ ჯანო ანანიძის თამაშს ევროპალიგაზე და პრემიერლიგის სასტარტო ტურში ტულის არსენალის წინააღმდეგ?***

– რა თქმა უნდა! ჩემთვის, როგორც საქართველოს ნაკრების მწვრთნელისთვის, მნიშვნელოვანია ყველა კარგი ფეხბურთელი. ჯანო კი წამყვანი მოთამაშეა. სამწუხაროდ, მან ბოლო 3 სანაკრებო შეხვედრაში ვერ მიიღო მონაწილეობა. სპარტაკმა და თავად ფეხბურთელმა მოგვმართეს თხოვნით, რომ მიგვეცა ჯანოსთვის პაუზა. ფეხბურთელს სჭირდებოდა ცხვირის ოპერაცია.

***– ბევრი, ვინც ჯანოს ბოლო 3 გოლის შთაბეჭდილების ქვეშაა, მიიჩნევს, რომ ანანიძე კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს.***

– თუ არ ვცდები, ის უკვე 8 წელიწადია, სპარტაკში თამაშობს. უკვე დროა, ჯანო გუნდის წამყვანი ფეხბურთელი გახდეს. მას ღმერთისგან ბოძებული ნიჭი აქვს. თუ ის იგრძნობს მწვრთნელის ნდობას და ჯანმრთელობაც ხელს შეუწყობს, დიდ ფეხბურთს ითამაშებს.

***– ტრავმებია მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჯანო ბოლომდე ვერ გაიხსნა?***

– ვფიქრობ, ასეა. ანანიძე ძალიან ტექნიკური და ჭკვიანი ფეხბურთელია. ბოლომდე რომ გამოავლინოს თავისი ტალანტი, კარგ ფორმაში უნდა იყოს. ერთია, ძალა მხოლოდ 20-30 წუთი კი არა, მთელი თამაშის განმავლობაში უნდა ჰყოფნიდეს. ამაზე მექნება გათვლა, როცა საქართველოს ნაკრებთან ერთად დავიწყებთ მზადებას მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ისეთი სერიოზული ნაკრების წინააღმდეგ, როგორიც არის ავსტრია.

აქამდე ანანიძე მხოლოდ ჩემს სადებიუტო თამაშში გამოვიყენე, რომელშიც ჩვენი მოწინააღმდეგე ყაზახეთის ნაკრები იყო. მაშინ მე რამდენიმე დღე მქონდა გუნდის გასაცნობად. ჯანო სასტარტო შემადგენლობაში იყო და 70 წუთზე მეტი ითამაშა. ეს არ იყო მისთვის იოლი, რადგან მაშინ სპარტაკში, ძირითადად, სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

***– როგორ უყურებთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ჯანოს, თავისი ფიზიკური მონაცემების გამო, გაუჭირდება თანამედროვე, ათლეტურ ფეხბურთში დამკვიდრება?***

– ჩვენ ამ თემაზე ვისაუბრეთ ანანიძესთან მას შემდეგ, რაც ნაკრებში სპეციალური ტესტირება ჩავატარეთ. ის რომ სულ საჭირო კონდიციაში იყოს, გარკვეული სამუშაო უნდა შეასრულოს ყოველი ვარჯიშის შემდეგ. რაც შეეხება მის სხეულის კონფიგურაციას: თუ მწვრთნელი ფეხბურთელში მხოლოდ ფიზიკურ მონაცემებს უყურებს, მაშინ ანანიძეს, წესით, არანაირი შანსი არ უნდა ჰქონდეს. ჭკვიანი სპეციალისტი და ალენიჩევი ყოველთვის ასეთი იყო, ჯანოს მუდამ მოუნახავს მინდორზე ადგილს. ის არის მრავალმხრივი ფეხბურთელი. მას შეუძლია 8 ნომერი ითამაშოს 4-3-3 ტაქტიკურ სქემაში, შეუძლია საყრდენობა, ასევე, ფლანგზე თამაში.

***– ამბობენ, რომ ახლა აღარ არიან კლასიკური 10 ნომრები. ჯანო ხომ არ აქარწყლებს ამ მოსაზრებას?***

– სპარტაკს აქვს განსაკუთრებული სტილი. ტექნიკა და პასი ამ გუნდისთვის დამახასიათებელია. ეს ის თამაშია, რომელსაც უხდება ანანიძე. ფეხბურთი იცვლება. პირადად მე არ მომწონს ის მიმართულება, საითაც მიდის ფეხბურთი. უპირატესობას შემტევ ფეხბურთს ვანიჭებ, თუმცა ვალდებული ხარ, ჭკვიანად ითამაშო.

მაგალითად, საქართველოს ნაკრებს შეეძლო, ესპანეთს ღია ფეხბურთში შეჯიბრებოდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ანგარიში 1:7 იქნებოდა. ჩვენ სხვანაირად ვითამაშეთ და დავამტკიცეთ, რომ ასეთი დონის მოწინააღმდეგის ძლევაც შეიძლება. ჯანოს სხვადასხვანაირად შეუძლია თამაში – ათიანიც იყოს და დაცვაშიც იმუშაოს. თუ ასევე გააგრძელებს და ჯანმრთელობაც ხელს შეუწყობს, წელსვე შეუძლია, საუკეთესო გახდეს სპარტაკში.

# შვაინშტაიგერი მეორე გუნდში დააქვეითეს

ბასტიან შვაინშტაიგერი მანჩესტერ იუნაიტედის 23 წლამდელთა გუნდთან ერთად ვარჯიშობს. ეს ინფორმაცია ერთ-ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელის მიერ გახდა ცნობილი, რომელიც მანჩესტერულმა კლუბმა შერჩევაზე მიიწვია.

20 წლის ლიანდრო მარტისმა, რომელიც ბასტიანთან ერთად ვარჯიშობდა, განაცხადა:

– ისეთ ფეხბურთელებთან ერთად ვარჯიშის შემდეგ, როგორიც შვაინშტაიგერია, ჩემს შესაძლებლობებში დავრწმუნდი.

გუნდის ასეთი გადაწყვეტილება იმის მანიშნებელია, რომ ბასტიან შვაინშტაიგერი მის გეგმებში არ შედის. ფეხბურთელი უკმაყოფილოა ამჟამინდელი მდგომარეობით და გუნდიდან წასვლას გეგმავს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბასტიანით იტალიური კლუბები ინტერი და მილანი ინტერესდებიან.

მანჩესტერ იუნაიტედის დატოვება ბელგიელ ახალგაზრდა ვინგერ ადნან იანუზაისაც სურს. 21 წლის ფეხბურთელი იყო ერთ-ერთი იმ 3 ფეხბურთელს შორის, რომლის პერსპექტივა და მომავალი ჟოზე მოურინიომ უკვე განიხილა. ადნანს პორტუგალიელმა უთხრა, რომ მას, რეგულარული სათამაშო პრაქტიკის მოპოვების მიზნით, იჯარით წასვლა შეეძლო. ამ მოთხოვნაზე იანუზაი უარს აცხადებს, რადგან მას კლუბის დატოვება სურს. ბელგიელის შეძენით პსჟ, აიაქსი და ევერტონი ინტერესდებიან.

თუმცა, იანუზაი ყველაზე მეტად დავიდ მოიესს აინტერესებს, რომელიც მანჩესტერში მუშაობისას წვრთნიდა ბელგიელს და ახლა მისი გადაბირება სანდერლენდში უნდა. იანუზაის გარდა, მოიესს კიდევ ერთი ფეხბურთელი აინტერესებს მანჩესტერიდან – მარუან ფელაინი.





საერთოდ, მანჩესტერულ გუნდში ბევრი ახალწვეულია და დიდი შანსია იმისა, რომ ზემოთ ხსენებულ ფეხბურთელებს სათამაშო დრო პრაქტიკულად აღარც ჰქონდეთ, ამიტომ არ იქნება გასაკვირი, თუ ისინი კლუბს დატოვებენ . სწორედ ამ სიტუაციის გამოყენება სურს მოიესს და მისი ახალი გუნდის გაძლიერება ყოფილი შეგირდებით აქვს გადაწყვეტილი.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ ფეხბურთელებთან დაკავშირებით ჟოზე მოურინიოს შეხედულებებს ექნება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**ქვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# პროგრამა

**ოთხშაბათი
3 აგვისტო**

**07.30** დ/ფ "ფოტო" **08.00** ან/სერ. "მხიარული ფერმა" **09.00** ტ/სერ. "**დომბე და ვაჟი**" **10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.20** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00**ტ/სერ. "**ქალი რომელიც ბრუნდება**" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "დღე მუზეუმში" **14.30** ან/სერ. "ჯიმი ნიუტრონი გენიოსი ბიჭუნა" **15.00** დ/ფ "თოფ – გიარი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ხმა წარსულიდან**" **19.00** მინი/სერ. "**ოდრი ჰეპბერნის თავგადასავალი**" **20.50** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.30** ტ/სერ. "**ბეითსების მოტელი**" **22.30** "ოლიმპიური დღიური" **23.00** მხ/ფ "**შეცვლა**" (ა.ჯოლი) **01.30** მხ/ფ "**მასობრივი მიმზიდველობა**"

**08.00, 16.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** დ/ფ "როცა ეგვიპტელები წითელ ზღვაზე დაცურავდნენ" **11.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** "თოფ გიარი" **14.50** მხ/ფ "**მაკარტური**" **16.30** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **17.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **18.30** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **19.30** "ტელებლოგი" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00, 23.30** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა 23.00** "ნამდვილი დრო" **00.30** მხ/ფ "**ნიღაბი**"

**06.00** სერ. "**დახურული სკოლა**" **07.00** სერ. "**ფიცი**" **9** სერ. **08.00** სერ. "**თანხმობა**" **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**ბამბის ველი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **11.20** სერ. "**ჟუმონგი**" **12.20** ცეკვავენ ვარსკვლავები **14.40** სერ. "**ფიცი**" **10** სერ. **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 5**" **3** სერ. **23.00** სერ. "**სპარტაკი**" **3** სერ. **00.00** ილო ბეროშვილის შოუ **01.00** მხ/ფ "**ძილის წინ**" **02.45** მხ/ფ "**მიდელტონი**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30** დ/ფ - შ.მალაშხია **08.30, 09.10, 01.00, 03.30** მხ/ფ. **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** სერ. "**გაბრიელა**" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **23.00** დ/ფ "თვითგამორკვევა რუსულად" შ.მალაშხია

**8.00** ან/სერ. - "**ავატარი**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 1.15** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00, 3.15** სერ. "**ძვლები**" **15.00** მხ/ფ "**ბეტმენი დასაწყისი**" **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **23.00** მხ/ფ "**საზღვაო ცხოვრება სტივ ზისუსთან ერთად**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი "ირმა მათიაშვილი--ხატწერა და თანამედროვეობა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადის" კოლაჟი **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** დ/ფ "ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქია" **11.05** ერთხელ ბავშვობაში **11.30** მგზავრები წუთისოფლისა "არგვეთი" **12.10** ღია აუდიტორია **12.45** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "პუანტესია" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ ერთხელ ტყეში **2.** კომბლე **15.20** ღვთის სახლი "როგორ ყალბდებოდა აფხაზეთის ისტორია" II ნაწ. (გამ. **27** ივლისი) **15.45** დ/ფ "ილია ჭავჭავაძე **120**" გ. შენგელაია **17.15** კონცერტი **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **4.** წინასწარმეტყველი მიქია (გამ. **1** აგვისტო) **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ცხელი ზაფხულის სამი დღე** " **20.40** ძილი ნებისა "სამყაროს შექმნა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ღვთის სახლი "როგორ ყალბდებოდა აფხაზეთის ისტორია" III ნაწ. **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დიდ ხარ შენ უფალო.....**18.** პლინიუს უმცროსის წერილი ტრაიანესადმი, **00.25** ისტორიის დღიური **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30** "კონტაქტი" **07.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ქალთა ექიმი**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **18.55, 19.05** სერ. "**ზოგადი თერაპია**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ჯადოქარი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**მახე**" **23.30** სერ. "**ფროიდის მეთოდი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

3 აგვისტოსთვის

აშშ დოლარი — 2.3492

ევრო — 2.6226

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0948

100 რუსული რუბლი — 3.5358

## ამინდის პროგნოზი
3 აგვისტოსთვის





2 აგვისტოდან
ჯოვანი ბოკაჩო
**დეკამერონი**
ტომი 1
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი







5 აგვისტოდან
ჯოვანი ბოკაჩო
**დეკამერონი**
ტომი 2
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

3 აგვისტოდან
აკა მორჩილაძე
გადაფრენა მადათოვზე და უკან
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი





## იუმორი

ტელეფონის ზარი:
– ალო! ეს ნომერი 444-22-41-ია?
– არა, გენაცვალე, ეს 444-22-42-ია.
– ოჰ, მეზობლად ყოფილხართ, ლამარას დაუძახეთ...

•••

გოგო ბიჭს ეუბნება:
– იცი, მე შენი მომავალი მეუღლე ვარ.
– ეს როგორ, იძულებით თუ სიყვარულით?
– ეგ თვითონ უნდა გადაწყვიტო, მოისურვებ – სიყვარულით იქნება, არ მოისურვებ და – იძულებით. ასე რომ, არჩევანის სრული თავისუფლება გაქვს.

•••

შვილი მამას ეკითხება:
– მამა, მართალია, რომ აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში სასიძო სანამ არ იქორწინებს, არ იცის, ვინ მოჰყავს ცოლად?
– ეეჰ, ყველა ქვეყანაში მასეა, შვილო!

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:
– გუშინ მეუღლის პირით მოვისმინე მთელი სიმართლე ჩემ შესახებ.
– მერე?
– ძალიან შემეცოდა, საცოდავი, ვის გვერდით უწევს ცხოვრება!

•••

ახალი რძალი დედამთილს ეკითხება:
– დედა, ჭერი რატომ არ გაქვთ შეთეთრებული?
– დიდი ფუნჯი არ გვაქვს, რომ შევათეთროთ.
რძალმა მამამთილთან მიირბინა, გრძელი წვერი შეაჭრა, ფუნჯი დაამზადა და ჭერი შეათეთრა, შემდეგ ისევ მიუბრუნდა დედამთილს და ეკითხება:
– ფანჯრები რატომაა შესაღები?
– ფუნჯი არ გვაქვს, შვილო.
რძალმა მამამთილს ახლა ულვაშები შეაჭრა, პატარა ფუნჯი დაამზადა და ფანჯრები შეღება.
საღამოს ქმარი სახლში ბრუნდება, ეზოში შევა და ხედავს, მამამისი ხეზეა ამძვრალი. შვილი ეკითხება:
– მამა, ასეთ დროს მაგ ხეზე რატომ ზიხარ?
– შვილო, ის ორი სულელი, დედაშენი და შენი ცოლი, ნამცხვრის გამოცხობას აპირებენ და ვაითუ სახლში კვერცხები არ აქვთ...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*





მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.


## ეკა ხოფერიას სახელით თაღლითები ფულს აგროვებენ

ეკა ხოფერიას შოუს ავტორი, ჟურნალისტი ეკა ხოფერია სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს და აცხადებს, რომ მისი სახელით სახელმწიფო უწყებებში ფულის გამოძალვა ხდება.



**ეკა ხოფერია:**
– მეგობრებო, ახლობელმა მომწერა, ჩემი სახელით დადის თურმე სახელმწიფო უწყებებში ვიღაც ხათუნა კაპანაძე, ასე აცნობს საკუთარ თავს.
მე და ეკა ხოფერიაო ძეგვის ბავშვთა სახლს ვეხმარებითო, ეკა აქ არ არისო და ამიტომ ვერ მოვიდაო. ფულს ითხოვს. ეს ამბავი ტყუილია და, სამწუხაროდ, ეს ქალი უკვე ბევრგან მისულა.
კარგია, რომ ჩემთან ამოწმებენ. მოკლედ, თუ მე რამე პროექტში ვარ ჩართული, სხვას არ ვაგზავნი, კი იცით ეს, მაგრამ მაინც გაგაფრთხილეთ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*


9 აგვისტოდან
თეოდორ დრაიზერი
**ამერიკული ტრაგედია**
ტომი 1





## არგენტინა ბაუზას ჩააბარეს

არგენტინის ეროვნულ ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს – ალბისელესტე ედგარდო ბაუზას ჩააბარეს.



58 წლის გამოცდილი სპეციალისტი არგენტინის ნაკრებში 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე იმუშავებს. ბაუზამ აღნიშნულ პოსტზე ხერარდო მარტინო ჩაანაცვლა, რომელმაც ეროვნული გუნდი კოპა ამერიკის ფინალში განცდილი მარცხის მერე დატოვა.
ბაუზა ბოლოს ბრაზილიურ სან პაულუს ედგა სათავეში, მანამდე კი სხვადასხვა გუნდს წვრთნიდა: არგენტინულ კოლონს, ეკვადორულ ლდუ კიტოს, არაბულ ალ ნასრს, და არსევე არგენტინულ კლუბებს – სან ლორენსოს, ველეჟ სარსფილდსა და როსარიო სენტრალს.
ბაუზას ორჯერ აქვს მოგებული ლიბერტადორესის თასი. კერძოდ, 2008 წელს ლდუ კიტოს მოაგებინა, ხოლო 2014 წელს – სან ლორენსოს. გარდა ამისა, ეკვადორის ჩემპიონიცაა. ამასთან, ლდუში მუშაობისას მან 2010 წელს კოპა სუდამერიკანაც მოიგო.
ბაუზას არგენტინის ნაკრებშიც უთამაშია, თუმცა მხოლოდ 3-ჯერ მოირგო ეროვნული გუნდის მაისური.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*


12 აგვისტოდან
თეოდორ დრაიზერი
**ამერიკული ტრაგედია**
ტომი 2





## თავდასხმა მერსი სულხანიშვილზე

სკანდალებით ცნობილ ჟურნალისტ მერსი სულხანიშვილს თავს დაესხნენ.



**მერსი სულხანიშვილი:**
– დაახლოებით 21:45 წუთზე ვიმყოფებოდი ალმაშენებლის 75 ნომერში, ვიჯექი კიბეზე მეგობართან ერთად. მოულოდნელად ჩემთვის სრულიად უცნობი გოგონა მომვარდა, სამი გოგო იყო. მათგან ერთ-ერთმა ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა, შემდეგ კოკა-კოლა შემასხა და გაიქცნენ ვარდების ბაღში.
მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საქმე აღძრულია. იმედია, მალე იპოვიან დამნაშავეებს და დაისჯებიან კანონის შესაბამისად.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## აბურჯანია სევილიაშია, ქვილითაია – რაპიდში

გიორგი აბურჯანიას სევილიაში გადასვლას მხოლოდ დამადასტურებელი ბეჭედი სჭირდებოდა და ესეც მოხდა – ქართველი ნახევარმცველი ბოლო წლებში უეფას ევროპის ლიგის სისტემატურად მომგებ კლუბში გადავიდა.
სევილიურმა კლუბმა სეგუნდა დივიზიონის ხიმნასტიკს 21 წლის ქართველი საყრდენი ნახევარმცველის სანაცვლოდ 1,8 მილიონი ევრო გადაუხადა.
თუმცა, როგორც ვწერდით, ჩვენებურს სევილიაში დასამკვიდრებლად დრო დასჭირდება. აბურჯანიამ სამედიცინო შემოწმება გაიარა, სევილიის მე-2 გუნდს შეუერთდა და მათთან ერთად 10 დღის განმავლობაში შეკრებას გაივლის. ანდალუსიელთა მეორე გუნდი სეგუნდა დივიზიონში გამოდის.
2016 წლის ზამთარში ხიმნასტიკმა აბურჯანია კვიპროსის ანორთოსისიდან სულ რაღაც 150.000 ევროდ შეიძინა. ქართველმა ნახევარმცველმა ტარაგონელთა რიგებში 16 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.
კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი გიორგი ქვილითაია კი ვენის რაპიდში გადავიდა. მისი ტრანსფერის შესახებ ხმები დადიოდა, საბოლოოდ კი ავსტრიულ კლუბში გადასვლის ამბავი დინამოელთა მწვრთნელმა იურაი იარაბეკმა დაადასტურა.
**იურაი იარაბეკი:**
– ქვილითაია ტრავმის გამო ისედაც ვერ ითამაშებდა ზაგრების დინამოსთან განმეორებით მატჩში, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ გადავიდა ვენის რაპიდში და უახლოეს საათებში გაივლის სამედიცინო შემოწმებას.
ქვილითაიას ტრანსფერზე მეტი ოფიციალური ჯერ არაფერია, მოარული ხმებით კი ავსტრიელები მის სანაცვლოდ 700.000 ევროს იხდიან.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელების შემქმნელი ქართველი ქიმიკოსი, მრეწველი; 2. ფრანგული სამხედრო მოიერიშე თვითმფრინავების სერია; 3. ჩეხი კომპოზიტორი; 4. ხელოვნური წყალსაცავი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში; 5. სიტყვის ბოლოსართი გრამატიკაში; 7. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 11. ხელის მინიშნებითი, გამომხატველობითი მოძრაობა; 12. ადამიანის, ცხოველის ძვლების ერთობლიობა; 13. პატარა სამკუთხა ალამი; 14. თეატრი ლონდონში, სადაც იდგმებოდა შექსპირის ტრაგედიები; 15. უბანი თბილისში; 17. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 19. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში.

**თარაზულად**: 5. ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია გაკოტრების პირას მყოფი კომპანიების, ბანკების გადარჩენა; 6. თავფეხიანთა კლასის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 8. გაწყალებული ღვინო; 9. აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი; 10. ებრაული წესით დაყენებული ღვინო; 11. წარწერა საბანკო ჩეკზე სხვა პირზე გადაცემის შესახებ; 13. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 14. ქვეწარმავლის შხამი; 16. ბრიტანული იუმორისტული ჟურნალი; 18. მწერი განვითარების ერთ-ერთ სტადიაში; 20. მსხვილი სოსისი; 21. აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

